

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა
№1/91 2010 წლის 2 აგვისტო ქ. თბილისი

საერთო სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა შენახვის
წესის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტისა და მე-2 პუნქტის შესაბამისად, დამტკიცდეს საერთო სასამართლოების მიერ დასრულებულ საქმეთა შენახვის თანდართული წესი.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2010 წლის 1 სექტემბრიდან.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2010 წლის 2 აგვისტოს №1/91 გადაწყვეტილებით

საერთო სასამართლოებში დასრულებულ საქმეთა შენახვის
წ ე ს ი

მუხლი 1.

1. საქართველოს საერთო სასამართლოების (შემდგომში - სასამართლო) მიერ დასრულებული საქმეები ექვემდებარება სავალდებულო შენახვას.

2. სასამართლოს მიერ დასრულებულ საქმეთა შენახვას, ცენტრალიზებულ აღრიცხვა-აღწერას, დაცვას, დამუშავებას, სამეცნიერო და პრაქტიკული მიზნით გამოყენებას, მუდმივად შენახვისათვის გადაცემას უზრუნველყოფს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის საარქივო განყოფილება (შემდგომში - დეპარტამენტის არქივი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 2.

1. სასამართლოს მიერ დასრულებული საქმე, ამ დებულების მიზნებისათვის, მოიცავს ორი კატეგორიის დოკუმენტაციას:

ა) I კატეგორია - გადაწყვეტილების, განაჩენის, განჩინების, დადგენილების, მორიგების აქტის, ექსპერტიზის ცნობის (სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეზე), ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების, ანდერძისა და ნახაზის დედნები, ცნობა სააღსრულებო ფურცლის გაცემის თაობაზე;

ბ) II კატეგორია - საქმეში არსებული სხვა დოკუმენტაცია, ასევე I კატეგორიას მიკუთვნებულ დოკუმენტაციათა ასლები.

მუხლი 3.

1. I კატეგორიას მიკუთვნებული დოკუმენტაცია ინახება მუდმივად, გარდა ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებულ საქმეთა დოკუმენტაციისა.

2. I კატეგორიას მიკუთვნებული დოკუმენტაცია, საქმეთა რაოდენობისა და სასამართლოს საჭიროებიდან გამომდინარე, საქმის დასრულებიდან 2-5 წლის განმავლობაში ინახება საქმის განმხილველ სასამართლოში, 70 წელი - დეპარტამენტის არქივში, ხოლო შემდეგ გადაეცემა სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივს. (3.07.2012 N1/123 ამოქმედდეს 2012 წლის 4 ივლისიდან)

3. ამ პუნქტში აღნიშნული საქმეები ინახება შესაბამისი ვადით და აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ ექვემდებარება სრულად განადგურებას: (8.10.2010 N1/160 ამოქმედდეს 2010 წლის 11 ოქტომბრიდან)

№	საქმის კატეგორია	შენახვის ვადა
1	მეწარმის საქმიანობის შემოწმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმეები	3 წ.
2	ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვასა და დახმარებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმეები	3 წ.
3	ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმეები	5 წ.
4	სისხლის საპროცესო სამართლებრივი იძულების ღონისძიებების გამოყენებასა და საგამომიებო მოქმედებების ჩატარებასთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები	10 წ.

მუხლი 4.

1. II კატეგორიის დოკუმენტაციის შენახვის ვადები საქმეთა კატეგორიების მიხედვით:

№	საქმის კატეგორია	შენახვის ვადა
1	უძრავ ქონებასთან დაკავშირებული სამოქალაქო და ადმინისტრაციული საქმეები	10 წ.
2	შვილად აყვანასთან, მამობის დადგენასთან და შშობლის უფლების ჩამორთმევასთან დაკავშირებული სამოქალაქო საქმეები	მუდმივად
3	ალიმენტის გადახდევინებასთან დაკავშირებული სამოქალაქო საქმეები	ალიმენტის მიღების უფლების შეწყვეტამდე

4	სხვა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის საქმეები	5 წ.
5	სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებები, წარმოებაშეწყვეტილი და განუხილველად დატოვებული საქმეები	1 წ.
6	გამამართლებელი განაჩენით დასრულებული სისხლის სამართლის საქმეები	5 წ.
7	გამამტყუნებელი განაჩენით დასრულებული სისხლის სამართლის საქმეები ნაკლებად მძიმე დანაშაულზე	5 წ.
8	გამამტყუნებელი განაჩენით დასრულებული სისხლის სამართლის საქმეები მძიმე დანაშაულზე	10 წ.
9	გამამტყუნებელი განაჩენით დასრულებული სისხლის სამართლის საქმეები განსაკუთრებით მძიმე დანაშაულზე	15 წ.
10	განჩინებით ან დადგენილებით დასრულებული სისხლის სამართლის საქმეები	5 წ.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადები აითვლება იმ წლის პირველი იანვრიდან, რომელიც მოსდევს სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის წელს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენით დასრულებულ სისხლის სამართლის საქმეში არსებული II კატეგორიის დოკუმენტაციის შენახვის ვადა - სასჯელის ვადის გასვლის წელს.

3. სასამართლოს მიერ დასრულებულ საქმეთა შენახვის ვადების შემცირება აკრძალულია, ხოლო ვადების გაზრდა შესაძლებელია საქმეთა მნიშვნელობის ან სხვა გარემოების გათვალისწინებით, სასამართლოს მიერ.

4. სასამართლოს მიერ დასრულებულ საქმეთა აღრიცხვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია ექვემდებარება მუდმივად შენახვას.

მუხლი 5.

1. ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტითა და მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, დასრულებულ საქმეებს უტარდება დოკუმენტების შემფასებელი ექსპერტიზა დეპარტამენტის არქივის საექსპერტო კომისიის მიერ.

2. ექსპერტიზის ჩატარების შემდეგ გასანადგურებელ დოკუმენტაციას განსაზღვრავს დეპარტამენტის არქივის საექსპერტო კომისია.

3. ფარული საგამომიებო მოქმედების შედეგად მოპოვებული მასალის შენახვა და განადგურება ხდება საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 143⁸ მუხლით დადგენილი წესით. (19.11.2014 N1/101)

მუხლი 6.

დეპარტამენტის არქივისათვის საქმეთა გადაცემამდე, საქმეთა შენახვას, სათანადო მოვლას და დაცვას უზრუნველყოფს საქმის განმხილველი სასამართლო, ხოლო საქმეთა გადაცემის შემდეგ აღნიშნული მოვალეობა ეკისრება დეპარტამენტის საარქივო განყოფილებას.

მუხლი 7.

დეპარტამენტის არქივში დაცულ საქმეთა ან საქმეში არსებულ დოკუმენტაციათა გამოთხოვა ან მათი ასლების გაცემა დასაშვებია მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში, უფლებამოსილი პირის წერილობითი მიმართვის საფუძველზე.

მუხლი 8.

ამ წესის მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის პირველი პუნქტით დადგენილი ვადები გავრცელდეს ამ წესის ამოქმედებისათვის საერთო სასამართლოებსა და დეპარტამენტის არქივში დაცულ დასრულებულ საქმეებზე.